ოჯახის დაგეგმვის მომსახურებას უზრუნველყოფს:

ამბულატორიები, ქალთა კონსულტაციები და
სამშობიარო სახლები

თბილისი, ბათუმი,იმერეთი, სამეგრელო, კახეთი, ქვემო ქართლი,
შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი

კონტრაცეფციის მეთოდებთან დაკავშირებით
უფასო კონსულტაციისთვის მუშაობს
ცხელი ხაზი:
თბილისიდან: 51 05 05
რეგიონებიდან: 822 51 05 05
კონტრაცეპტივების სხვადასხვა სახეობა
იყიდება აფთიაქებში

კონტრაცეფცია
სანდო და უსაფრთხო
არჩევანი

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE SUSTAIN JSI

დიზაინი შესრულებულია McCann-Erickson Georgia-ს მიერ

www.jsi.ge

კონტრაცეფცია- სანდო და უსაფრთხო არჩევანი



რას ნიშნავს ოჯახის დაგეგმვა?

მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამის მიხედვით, "ოჯახის დაგეგმვის მიზანია წყვილებსა და ცალკეულ ინდივიდებს ჰქონდეთ უნარი მთელი პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად განსაზღვრონ შვილების რაოდენობა და შუალედები მათ შორის, ჰქონდეთ ინფორმაცია და შესაძლებლობა, რომ განახორციელონ ეს უნარი; გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი და ჰქონდეთ მისაწვდომობა უსაფრთხო და ეფექტური მეთოდებისადმი". (პარაგრაფი 7.12).

ქალმა და მამაკაცმა კარგად უნდა განსაზღვრონ, თუ რა არის მათი ოჯახისათვის სასურველი, რამდენი შვილი იყოლიონ და რა შუალედით. ოჯახის, ე.ი. მომავლის დასაგეგმად წყვილი ირჩევს კონტრაცეფციის უსაფრთხო და ეფექტურ საშუალებებს.

როგორ აირჩიოთ კონტრაცეფციის მეთოდები?

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტში ექიმი დაგეხმარებათ კონტრაცეფციის თქვენთვის შესაფერისი მეთოდის არჩევაში, იგი გაითვალისწინებს თქვენი ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლებს და ასაკს.

რა არის ორალური კონტრაცეპტივები (ჩასახვის საწინააღმდეგო აბები)?

ჩასახვის საწინააღმდეგო აბები ისეთი კონტრაცეფციული საშუალებებია, რომლებსაც ქალი ყოველდღიურად იღებს მთელი იმ ხნის მანძილზე, როცა არასასურველი ორსულობისგან იცავს თავს. არსებობს მათი ორი ძირითადი საშუალება: დაბალდოზიანი კომბინირებული ჩასახვის საწინააღმდეგო აბები და ე.წ. მინი-პილი. კომბინირებული აბები მცირე დოზით შეიცავს 2 ჰორმონს – ესტროგენსა და პროგესტინს, მინი-პილი მხოლოდ – პროგესტინს, რომლებიც იმ ჰორმონების ანალოგებს წარმოადგენენ, რომლებსაც ბუნებრივად გამოიმუშავებს ქალის ორგანიზმი.

როგორია მოქმედების მექანიზმი?

თრგუნავს ოვულაციას. იწვევს საშვილოსნოს ყელის ლორწოს გასქელებას და ამით აბრკოლებს სპერმატოზოიდების შეღწევას საშვილოსნოში. ათხელებს საშვილოსნოს იმგვარად, რომ განაყოფიერების შემთხვევაში ჯვერცხუჯრედი მასში ვერ ჩაიზრდება.

რამდენად უსაფრთხოა კონტრაცეპტიული აბები?

უსაფრთხო, მარტივი და ეფექტური (99%) მეთოდია. გამოყენება შეიძლება განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. ქალს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს აბების მიღება და მალევე დაორსულდეს. ხელს არ უშლის სქესობრივ ჯავშირს. არეგულირებს მენსტრუალურ ციკლს, მენსტრუალურ გამონადენს და წინამენსტრუალური სინდრომის სიმძაფრეს. აქვეითებს ენდომეტრიუმის და საკვერცხეების კიბოს და მასტოპათიის განვითარების რისკს.

რა გვერდითი მოვლენები ახასიათებს კონტრაცეპტიული აბების მიღებას?

შეიძლება ადგილი ჰქონდეს სარძევე ჯირკვლების მგრძობელობის მომატებას, თავის მსუბუქ ტკივილს, მენსტრუაციებს შორის მცირე სისხლიან გამონადენს, წონის უმნიშვნელო მატებას და გულისრევის შეგრძნებას. აღნიშნული მოვლენები პრეპარატის მიღებიდან რამდენიმე თვეში გაივლის.

თანამედროვე კონტრაცეფცია ხელს უწყობს:

- ჯანმრთელი ბავშვის დაბადებას სასურველ დროს
- ქალის ჯანმრეთელობის შენარჩუნებას
- ამცირებს მთელი რიგი სიმსივნეების წარმოქმნის ალბათობას
- ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობების დამყარებას